



MES 5 20 0001120725



25/11/2020

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 11 ნოემბერს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/81904155931>

Meeting ID: 819 0415 5931

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებ
ის მიმნიჭებელისაბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ქრისტინე მეფარიშვილი - სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

თამაზ ბახტაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „ერქვანი“

ფრიდონ ბუაძე - კოლეჯის დირექტორი

ილია ომხერელი - დირექტორის მოადგილე

დარეჯან ჭელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტი:

თეა მახათელაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს მდივანი, მარიკა ზაქარეიშვილი, ვერ დაესწრო სხდომას, საბჭოს თავმჯდომარემ №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი „ერქვანისთვის“ - „მეღვინეობის საწარმოო დანადგარების ექსპლოატაცია და მართვა“ /00836/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

წარმდგენი: თეა მახათელაშვილი, ლანა გაჩეჩილაძე

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომ-ლობა. შუამდგომლობა არ იყო.

1. სსიპ - კოლეჯი „ერქვანისთვის“ - „მეღვინეობის საწარმოო დანადგარების ექსპლოატაცია და მართვა“ /00836/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

დასკვნის წარდგენამდე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანამ გაჩეჩილაძემ მიმართა საბჭოს, მან წარადგინა ექსპერტი, აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა ნაყოფიერად, დისტანციურად და მაღლიერება გამოხატა დაწესებულების მიმართ დახმარების გაწევისთვის, გამოთხოვილი დოკუმენტაციის და ფოტომასალის დროულად მოწოდებისთვის. მან აღნიშნა, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ეს ძალიან ნაყოფიერი იყო.

დასკვნის პრეზენტაცია წარადგინა ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2020 წლის 21 ოქტომბერს განხორციელდა სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მიერ წარმოდგენილი განაცხადის დისტანციურად შესწავლა, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, პროფესიული მომზადების პროგრამის „მეღვინეობის საწარმოო დანადგარების ექსპლოატაცია და მართვა“ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული მომზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 7 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში მინიმუმ - 5 და მაქსიმუმ - 12, მსმენელების მოთხოვნილი რაოდენობა - 12, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ განაცხადის დისტანციური შესწავლის დროს განხორციელდა გასაუბრება კოლეჯის დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროგრამის განმახორციელებელ პირთან. გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი. პროფესიული მომზადების პროგრამის თეორიული კომპონენტი განხორციელდება დაწესებულების A სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი - ღვინის ქარხანაში შპს „იწის მარანი“ - C გარემო.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ ექსპერტს, პირველ რიგში, ხარვეზებისა და რეკომენდაციების წარდგენა სთხოვა.

დაფიქსირებული ხარვეზი:

განაცხადის შესწავლისას გამოვლინდა ხარვეზი 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ კოლეჯმა წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კოლეჯის დეტალური სახანძრო შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილი №1383 მიწერილობა, აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია კოლეჯის მიერ შესასრულებელი ღონისძიებები და შესრულების ვადები - 01.04.2020-მდე. თუმცა შესასრულებელი ღონისძიებების ნაწილია შესრულებული. როგორც დაწესებულების დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, შესასრულებელია მხოლოდ პირველი ღონისძიება, კერძოდ, ვერ იქნა მოძიებული ორგანიზაცია, რომელიც გამართავდა სახანძრო სიგნალიზაციის და განგაშის ღილაკს როგორც ცალ-ცალკე, ასევე, ერთობლივად გააქტიურების შემთხვევაში ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემის ავტომატურად მოქმედებას და შეცვლიდა ზონალური ტიპის სახანძრო სიგნალიზაციას სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაციით.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის არ მიუმართავს განმეორებითი შეფასების მიზნით და არ მომხდარა განმეორებითი შეფასება.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაციები:

2.1 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად კოლეჯმა პროგრამის განხორციელებაში ჩართოს დამატებით განმახორციელებელი პირი;

2.4 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია შესრულდეს №1383 მიწერილობით გათვალისწინებული ღონისძიებები და მოხდეს კოლეჯის განმეორებითი შეფასება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს იყო ის ძირითადი ხარვეზი და რეკომენდაციები, რაც დაფიქსირდა დაწესებულებაში. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ დისტანციური ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ რამე შეცვალა, შეუძლია საბჭოს წარუდგინოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ აქვე გაეცა პასუხი ამ ხარვეზთან დაკავშირებით.

ხარვეზთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ამ ხარვეზის მოგვარებაზე მუშაობდა მატერიალური რესურსების კოორდინატორი და დირექტორის მოადგილე, რომლებიც ესწრებოდნენ საბჭოს და ითხოვა, მათ განემარტათ საბჭოსთვის, თუ რა სიტუაცია იყო ამ ეტაპზე. მატერიალური რესურსების კოორდინატორმა აღნიშნა, რომ დროულად ვერ იქნა მოძიებული ორგანიზაცია, რომელიც გამართავდა სახანძრო სიგნალიზაციის და განგაშის ღილაკს როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლივად გააქტიურების შემთხვევაში ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემის ავტომატურად მოქმედებას და შეცვლიდა ზონალური ტიპის სახანძრო სიგნალიზაციას სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაციით. თუმცა, დიდი წვალეების შემდეგ, ამ ეტაპზე უკვე მოძიებულია ორგანიზაცია, რომელიც ადგილზე ჩამოვა და განახორციელებს პროექტირებას და შეცვლას, მაგრამ ვინაიდან დაწესებულება არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სსიპ-ების შესყიდვების ვალდებულებიდან გამომდინარე, ამ ეტაპისთვის ატვირთულია პროექტირება შესყიდვების მონაცემთა ერთიან გვერდზე, როგორც მან აღნიშნა დაწესებულება ელოდება ამ გამოცხადების პერიოდის დასრულებას და შემდეგ განხორციელდება პროექტირება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი თავიდან არის გასაკეთებელი, ვინაიდან ისეთი სამუშაოებია ჩასატარებელი, რომელიც ავალდებულებს დაწესებულებას ტენდერის გამოცხადებას (ხარჯი დაახლოებით 10 000 ლარამდე), სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ტენდერის გამოცხადება. ატვირთულია დაწესებულების მოთხოვნა და ელოდებიან, რომ გამოჩნდება ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს პროექტირებას და შემდგომ სამუშაოებს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა შეკითხვით მიმართა ექსპერტს, ვინაიდან პროგრამის განხორციელება დაკავშირებულია სხვადასხვა დანადგარებთან, კოლეჯს ადგილზე აქვს თუ არა რაიმე ისეთი ტიპის დანადგარი, რომელთანაც დაკავშირებულია სახანძრო საფრთხეები.

ექსპერტმა განმარტა, რომ დისტანციური ვიზიტის დროს ყურადღება გამახვილებულ იქნა ამ საკითხზე, დაწესებულების მიერ გადმოგზავნილია ცვლილებები, ასევე დოკუმენტი -პროგრამების განხორციელების უსაფრთხოების წესი. მან აღნიშნა, რომ ეს წესი მისაღებია, შესრულებადია და დამაკმაყოფილებელია. მან ასევე დაამატა, რომ კოლეჯს თავის ფართზე ყველა პირობა აქვს დაცული უსაფრთხოების კუთხით.

ნანი დალაქიშვილმა დაინტერესდა, რომ ეს მანქანა-დანადგარები იყო პარტნიორ ორგანიზაციაში, თუ დაწესებულებაში. ექსპერტმა დაუდასტურა, რომ ეს დანადგარები პრაქტიკის ობიექტზეა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა აზრი, რომ ამ საკითხის განხილვა გაეგრძელებინათ იმის შემდეგ, როდესაც შეთანხმდებიან ერთიან მიდგომებთან დაკავშირებით. ის დაინტერესდა, თუ რა დრო იყო საჭირო ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მთლიანი პროცესის დასრულებას, იმ პერიოდის გათვალისწინებით, რაც შესყიდვების ფორმას სჭირდება, შეძლებდნენ მიმდინარე წლის ბოლომდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, თუ რამდენად სწორი იქნებოდა ამ ხარვეზის გამოსწორებამდე პროგრამის განხორციელების დაწყება, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ვინაიდან დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ამჟამად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ამ პროგრამის დაწყება ამ პრინციპით შესაძლებელი იქნება, თუ რა თქმა უნდა, როგორც კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მიმდინარე წლის ბოლომდე მოხდებოდა ხარვეზის აღმოფხვრა.

ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ გამოთქვა თავისი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს გრძელვადიან პროგრამებსაც, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, რომ თუ დაწესებულებას მიღებული აქვს ავტორიზაცია და ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მაშინ რატომ დგებოდა ეს პრობლემა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებელის უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წინაშე.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ამ დაწესებულებას მიღებული აქვს ავტორიზაცია 2018 წელს, საგანგებო სიტუაციების სამსახური იმ პერიოდისთვის ასეთ საფუძველიან შემოწმებას არ ახორციელებდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, უსაფრთხოების ახალი სტანდარტების ამოქმედების შემდგომ, საგანგებო სიტუაციების სამსახური ამოწმებს დაწესებულებაში სახანძრო უსაფრთხოებას, აძლევს დაწესებულებას რეკომენდაციებს და რეკომენდაციების გამოსწორების გეგმას, ასევე გრაფიკს, თუ რა ვადებში უნდა მოხდეს ხარვეზების აღმოფხვრა/რეკომენდაციების გათვალისწინება, სწორედ ამ გეგმის შესაბამისად მოქმედებენ დაწესებულებები.

ნანი დალაქიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევაში ანალოგიური სტანდარტი შემდეგნაირად განიმარტება: უსაფრთხოება კომპლექსური და სპეციფიკური საკითხია, ის სცდება ხარისხის ცენტრის კომპეტენციას. ამიტომაც ამ კრიტერიუმის მიხედვით სტანდარტის შეფასების პროცესი მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტაციის შემოწმებით შემოიფარგლება. დაწესებულებამ უნდა მიმართოს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტს და მიიღოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. თეორიულად ვუშვებთ, რომ

ყველა დაწესებულება მსგავს დასკვნას ვერ აიღებს. ამ დროს დეპარტამენტის თანამშრომლები მასზე გასცემენ მიწერილობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე. მიწერილობის საფუძველზე დეპარტამენტი განახორციელებს მონიტორინგს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, სანამ დაწესებულება შესაბამისობაში არ მოვა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ასეთი თანამშრომლობის არსებობა უკვე არის საფუძველი, რომ სტანდარტი არ არის დარღვეული, ხარვეზი არ იკვეთება. ანალოგიური მიდგომა შეიძლება აქაც გავავრცელოთ. ასეთი ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელებულია და გეგმა/გრაფიკი შედგენილია, გაწერილი დარღვევების აღმოფხვრის გეგმა/გრაფიკიდან ყველა პუნქტი შესრულებულია, დარჩენილია მხოლოდ ერთი, რომლის აღმოფხვრა დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს. ასეთ შემთხვევაში ცენტრის ექსპერტები ამ დოკუმენტაციით კმაყოფილდებიან და შესაბამისად, სტანდარტი დაკმაყოფილებულად ითვლება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გაიზარდა მოთხოვნები ამ მიმართულებით, ვინაიდან ავტორიზაციის სტანდარტებში სხვა მოთხოვნებია და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში სხვა, რაც ქმნის გარკვეულ პრობლემებს. მან ასევე აღნიშნა, ცხადია, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების თანახმად ეს ფაქტობრივი მდგომარეობა უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთი სტანდარტის დარღვევად, ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს საბჭო, და მიმართა საბჭოს წევრებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ემსჯელათ პრეზენტაციის დასრულების შემდეგ.

საბჭოს წევრმა ნატო მებურიშილმა აღნიშნა, რომ სასურველი იყო გაეგრძელებინათ მსჯელობა, თუმცა უნდა შეთანხმებულიყვნენ, მსჯელობა პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაემართათ, თუ ახლა.

აზრი გამოთქვა საბჭოს წევრმა ქრისტინე მეფარიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულება არის ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება და ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები, ტარდება მეცადინეობები, უფრო საინტერესოა ამ მიმართულებით პრაქტიკის ობიექტზე თუ არის დაცული სახანძრო უსაფრთხოების ნორმები, პრაქტიკის ობიექტს თუ აქვს დასკვნა.

ამასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დისტანციური დათვალიერების დროს ასეთი შეფასება არ განუხორციელებიათ.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა ექსპერტს, ხომ არ დაინტერესებულან, ხომ არ დაუსვამთ კითხვა პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლისთვის ამ საკითხთან დაკავშირებით.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ კითხვა ამასთან დაკავშირებით ნადვილად არ დასმულა, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ არც თავდაპირველ დოკუმენტებში არ მოეთხოვებოდა დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტზე ამის შემოწმება. მან დასძინა, რომ დაწესებულების დირექტორს და ხარისხის მართვის მენეჯერს თხოვა, რომ სხდომას დასწრებოდა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირი და დაამატა, რომ ესწრებოდა საბჭოს და ის განმარტავდა ამ საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პროცენტი იყო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის წილი, რაზედაც ლანა გაჩეჩილაძემ უპასუხა, რომ პრაქტიკულ კომპონენტს ეთმობოდა 65%.

შემდეგ დაწესებულების დირექტორმა საბჭოს წარუდგინა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირი.

პროგრამის განმახორციელებელმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადა საბჭოს, რომ რაჭაში, ამ ღვინის კუთხეში, განათლების მიმართულებას ეძლეოდა ასპარეზი, მან აღნიშნა, რომ ბიზნესს ძალიან უჭირს ახალგაზრდების მხრივ, რომლებსაც არა აქვთ თეორიული ცოდნა.

რაც შეეხება საწარმოს, მან აღნიშნა, რომ დღეისათვის საწარმოში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები, რაც ISO-ს სტანდარტით არის გათვალისწინებული,

ამ ეტაპზე საწარმოში ინერგება ISO-ს სტანდარტი. მან ასევე აღნიშნა, რომ საწარმოს დანადგარები არის ევროპული წარმოების, არის სახანძრო და პირველადი დახმარებისთვის აღჭურვილობა, მან ასევე ყურადღება გაამახვილა ელექტროენერჯის საკითხებზე, აღნიშნა რომ საწარმოს აქვს დამიწების სისტემა და ელექტროენერჯის უსაფრთხოების ყველა ნორმა დაკმაყოფილებულია, ასევე გაამახვილა ყურადღება განათებაზე და აღნიშნა, რომ განათება გაცილებით უკეთესია, ვიდრე უნდა იყოს საწარმოში, ასევე გამართულია ვენტილაცია და საკანალიზაციო სისტემა. როგორც მან აღნიშნა, ISO-ს ჯგუფი დაასრულებს მალე მუშაობას და შესაძლებელი იქნება საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტაციის წარმოდგენა, სადაც ნათლად იქნება ასახული, რომ საწარმოში ნამდვილად უსაფრთხოდ იქნებიან მსმენელები და დაზღვეულები იქნებიან ყველა იმ საწარმოო ტრამვისგან, რაც შეიძლება ასეთ საწარმოებში მოხდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, რომ სასურველია ერთიანი მიდგომა დაინერგოს ამ თემებთან დაკავშირებით, ვინაიდან წარსული პრაქტიკიდან გამომდინარე, ყოფილა შემთხვევები, როდესაც კომპანიებისთვის მკაცრად იყო მოთხოვნილი ამ სტანდარტის დაცვა, და მან თხოვა ცენტრის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია. ამასთან დაკავშირებით ლანა გაჩეჩილაძემ გამოთქვა თავისი აზრი, მან აღნიშნა, რომ ნადვილად მნიშვნელოვანი საკითხია და უნდა მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება, თუმცა მან ასევე დასძინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახანძრო ღილაკის არსებობა არ არის ცენტრის მოსაგვარებელი, არა აქვს მნიშვნელობა ეს პროფესიული სტუდენტი იქნება, თუ მსმენელი, კოლეჯს უწევს სტანდარტების დაკმაყოფილება, ვინაიდან დაწესებულება არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მოუწევს ამ სტანდარტების შესრულება.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს, ხომ არ ჯობდა დაწესებულებას ამ მიმართულებით რა აქვს გაკეთებული, მოეხსენებინა საბჭოსთვის, ვინაიდან აქ საუბარი მხოლოდ ღილაკზე იყო, საინტერესოა ამ ერთი აქტივობის გარდა სხვა ყველა რეკომენდაცია თუ არის შესრულებული.

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულების შენობა არის ახალი, აშენებულია 2013 წელს ინფრასტრუქტურის სააგენტოს დაკვეთით, მასში ჩამონტაჟებული იყო სახანძრო სისტემა, რომელიც იმ პერიოდისთვის დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა ახალი რეგულაციები ითხოვს სამისამართო ტიპის სახანძრო მოწყობილობას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება არის წრიული ფორმის მინის შენობა. ბოლო პერიოდში ყველაფერი გასინჯულია, ცეცხლამქრები გადატუმბულია ვადების დაცვით, შეცვლილია დამატებითი გასასვლელები, მანიშნებელი ნიშნები დამონტაჟებულია, ყველაფერი გაკეთებულია. აქ საუბარია სამისამართო ღილაკზე, სწორედ ეს პერიოდი, წლის ბოლომდე დასჭირდება იმ პროცედურებს, რაც უნდა იქნეს გავლილი შესყიდვების სისტემიდან გამომდინარე. ჯამში 10 000 ლარი დაჯდება, ვინაიდან 5 000 ლარზე ზემოთ აუცილებელია ტენდერის ჩატარება, სწორედ ეს პროცედურა მოთხოვს დროს მიმდინარე წლის ბოლომდე. მან ასევე აღნიშნა, რომ 2014 წელს 112-ს მიერ არის შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების წესი, სწორედ ამ წესით და საევაკუაციო გეგმით ხელმძღვანელობდა დაწესებულება. საყურადღებოა, რომ არანაირი სირთულე არ იქნება, უბრალოდ ლოკალურად ვერ იძლევა ხედვის საშუალებას, რომ ის კონკრეტული ადგილი ჩანდეს ამ ეტაპისათვის, იქიდან გამომდინარე, რომ მაშინ ასეთი მიდგომები არ იყო.

ლანა გაჩეჩილაძემ მიმართა საბჭოს, რომ ავტორიზაციის ვიზიტზე თვითონ ახლდა ექსპერტებს ამ დაწესებულებაში როგორც ცენტრის წარმომადგენელი, მან აღნიშნა, რომ ეს შენობა კასრის ფორმისაა, შუაგულში აქვს კიბე და თვალნათლივ ჩანს მთელი ტერიტორია, ხილვადობა არის მარტივი, გარშემო არის ოთახები, აქედან გამომდინარე ხანძარი გამოჩნდება, ამ მხრივ დანახვის შესაძლებლობა არის, ვინაიდან ამ შენობას განსხვავებული სტრუქტურა აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კონკრეტულად ამ თემასთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რამე მოსაზრება, რაზეც უპასუხეს, რომ არა აქვთ მოსაზრება. მან დასძინა, რომ ხარვეზი დაფიქსირებულია ოფიციალურად, იურიდიულად, დოკუმენტალურად. ხარვეზის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილება იძლევა შესაძლებლობას, დაწესებულებას მიეცეს ერთი თვის ვადა ამ ხარვეზის გამოსაწორებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს შეუძლებელია.

საბჭომ თავმჯდომარემ შესთავაზა საბჭოს წევრებს, გაეგრძელებინა ექსპერტს დასკვნის პრეზენტაციის წარდგენა, რამდენად შესაბამისობაში იყო განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში, რის შემდეგაც გადაწყდა სათათბიროდ გასვლა.

ექსპერტმა დაწვრილებით განიხილა ყველა სტანდარტი/ქვესტანდარტი

1.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა „მეღვინეობის საწარმოო დანადგარების ექსპლოატაცია და მართვა“ ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - მეღვინეობის კომპანიების და საოჯახო მარნების ეკონომიკური პოტენციალის და მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების მოთხოვნადი პროგრამების განსაზღვრის კვლევის შედეგები, რაჟის – ლეჩხუმის რეგიონის კერძო სექტორში, რომლითაც დასაბუთებულია აღნიშნული პროგრამის განხორციელების საჭიროება, აქტუალობა, არსებულ მოთხოვნებსა და საჭიროებებთან შესაბამისობა. სწორედ დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციით, დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებით იქნა შემუშავებული ეს პროგრამა.

1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან.

1.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან:

1. ყურძნის გადასამუშავებელი დანადგარების გამოყენებით ყურძნის დაწურვა;
2. ღვინის ჩამოსხმა და დასაწყობება.

1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის წინაპირობები (საბაზო განათლება) სწავლის შედეგების ადეკვატურია. მან ასევე აღნიშნა, რომ ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესი“, სადაც აღწერილი აქვს ის მექანიზმები და პროცედურები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფს მოთხოვნილი დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით მსმენელთა შერჩევას.

1.5 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს.

1.6 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს ორი სწავლის შედეგის მიღწევას, რომელიც ამლევს მსმენელს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს.

1.7 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

1.8 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, დაწესებულებას სწავლების პროცესში გამოყენებული აქვს მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები - ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, სასწავლო ექსკურსია, ლექცია პრობლემის დასმით, გონებრივი

იერიში, ინსტრუქტაჟი, შემთვევის ანალიზი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

1.9 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ პროგრამის პრაქტიკულ სწავლების განხორციელებას გეგმავს პარტნიორი ორგანიზაციის - ღვინის ქარხნის - შპს „იწის მარანის“ ბაზაზე, მარანი ტერიტორიულად კოლეჯთან ახლოს მდებარეობს და კოლეჯი უზრუნველყოფს მსმენელთა ტრანსპორტირებას. მარანში მუდმივად მიმდინარეობს პრაქტიკული საწარმოო პროცესი, ამდენად, პროგრამის განხორციელება არ არის დაკავშირებული სეზონურობასთან. პროგრამის დაახლოებით 65% ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს. მარანი აღჭურვილია ყველა მოწყობილობითა და დანადგარით, ასევე აუცილებელი ხელსაწყოებით. პარტნიორი ორგანიზაცია მზადაა მიიღოს აღნიშნული პროგრამის მსმენელები, რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესებში დანადგარებისა და ხელსაწყოების მუშაობაზე დაკვირვების, ასევე მათი ექსპლუატაციის მოსინჯვის. მსმენელებს შესაძლებლობა ექნებათ დააკვირდნენ და ადგილზე გაეცნონ საწარმოს ორგანიზებას, სრულ აღჭურვილობას, განლაგებას, ექსპლუატაციას, სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს და მდგომარეობას, შრომის უსაფრთხოების პირობებს და სხვა დეტალებს.

1.10 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში განმავითარებელი შეფასება განხორციელდება ყოველკვირეულად, ხოლო მსმენელთა განმსაზღვრელი შეფასება მეექვსე და მეშვიდე კვირას პროცესზე დაკვირვებით - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

აქედან გამომდინარე, პირველი სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. პროგრამის განმახორციელებელი პირის ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციისა და მიზნობრივი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით - დიპლომით, შრომის წიგნაკით, რეზიუმე-cv. პროგრამის განმახორციელებელი არის ერთი პირი, რომლის დატვირთვა, როგორც გასაუბრების დროს გაირკვა, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას 5-დან 12 მსმენელზე. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირთან, რითაც დადასტურდა მისი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად სასურველია დაწესებულებამ ჩართოს დამატებით ერთი პირი.

2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობის გათვალისწინებით. A სასწავლო გარემოში განთავსებულია 12 მაგიდა და სკამი მსმენელებისათვის, ასევე დაფა, კომპიუტერი და მონიტორი სადემონსტრაციო მიზნებისთვის.

დაწესებულებას პარტნიორ ორგანიზაციასთან - შპს „იწის მარანთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია დროებითი სარგებლობის უფლება მათ საკუთრებაში არსებულ ფართში განთავსებულ აღჭურვილობაზე (მისამართზე: ქ. ამბროლაური, რ. დვალის ქუჩა). ხელშეკრულების დანართში წარმოდგენილია სრული აღჭურვილობის ჩამონათვალი. აღჭურვილობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. რესურსების რაოდენობა A და C გარემოში შესაბამისობაშია მსმენელთა მოთხოვნილ რაოდენობასთან.

2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, სასწავლო მიზნებისთვის ასევე გამოიყენება ანიმაციების ელექტრონული ვერსიები.

2.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში უკვე ისაუბრა და დააფიქსირა ხარვეზები, რომელიც უკვე წარმოადგინა და გადავიდა შემდეგი სტანდარტის განხილვაზე.

3.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. დაწესებულებას აქვს გამოცდილება სხვადასხვა მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების.

3.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ დირექტორის 2020 წლის 05 აგვისტოს №54 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესი“, რომლის შესაბამისადაც გეგმავს დაწესებულება მსმენელთა შერჩევას. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N71/ნ ბრძანების „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

3.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი, როგორც ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სერვისების თაობაზე. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაშიც მოხდება საზოგადოების ინფორმირება და ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია ნებისმიერი მსურველისთვის კოლეჯის ვებ-გვერდზე.

3.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობს მომზადების/გადამზადების პროგრამის დანერგვისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. დოკუმენტი აგებულია დემინგის ციკლის მიხედვით: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

3.5; 3.6; 3.7 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ეს სამი ქვესტანდარტი გამოცდილების არარსებობის გამო, არ ექვემდებარება შეფასებას.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა სათათბიროდ გასვლა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „ერქვანისთვის“ „მეღვინეობის საწარმოო დანადგარების ექსპლოატაცია და მართვა“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მეღვინეობის საწარმოო დანადგარების ექსპლოატაცია და მართვა /00836 (დანართი).

საბჭოს თავმჯდომარემ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განუმარტა დაწესებულებას, რომ საბჭომ იმსჯელა ექსპერტთა დასკვნაში ასახული ხარვეზის თაობაზე, გაითვალისწინა რა ცენტრის წარმომადგენლის განმარტება სახანძრო უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის შეფასების თაობაზე, კერძოდ, ის ფაქტი, რომ დაწესებულება უკვე თანამშრომლობს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტთან და ახორციელებს დარღვევების აღმოფხვრას შეთანხმებული გეგმა/გრაფიკის მიხედვით, მიიჩნია, რომ ხარვეზის საფუძველი არ არსებობს, ამიტომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მიეცეს კოლეჯს პროგრამის განხორციელების უფლება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, 16:10 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი გამყრელიძე გიორგი

